

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმით, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის განვითარებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მეტი გარანტიების შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი ადგენს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის არჩევის წესს, რომლის თანახმადაც თავმჯდომარეს ირჩევს კოლეგია თავისი შემადგენლობიდან. კანონის შესაბამისად, სადისციპლინო კოლეგია შედგება 6 წევრისაგან, რომელთაგან 3 წევრი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეა, ხოლო 3 – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი. კანონი არ ითვალისწინებს რაიმე დათქმას კოლეგიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით, კერძოდ, თავმჯდომარე უნდა იყოს მოსამართლე თუ არამოსამართლე წევრი.

მიმდინარე სასამართლო რეფორმის ძირითად მიზანს წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების გამართული მექანიზმის არსებობა. დისციპლინური სამართალწარმოების კანონის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვას დიდწილად განსაზღვრავს სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე. შესაბამისად, კოლეგიის თავმჯდომარის პოსტის მოსამართლე წევრის მიერ დაკავება მნიშვნელოვნად გააძლიერებს სადისციპლინო კოლეგიაში მოსამართლეთა „ხმას“. აქედან გამომდინარე, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე უნდა იყოს სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრი. ამასთან, სადისციპლინო კოლეგიაში მოსამართლეთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით კანონპროექტი ადგენს, რომ სადისციპლინო კოლეგიის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია და კახაბერ ანჯაფარიძე

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია და კახაბერ ანჯაფარიძე